

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

16. 02. 2015 წელი

2 ეგზ.

ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N 1/105

2014 წლის 1 იანვარი - 2014 წლის 30 სექტემბერი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	3
პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	4
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	5
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა	5
დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	8
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	8
აუდიტორის პასუხისმგებლობა	8
პირობითი მოსაზრების საფუძველები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	8
პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	12
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა.....	12
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	14
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები	15

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს გაერთიანების ბალანსს 2014 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში შემოსავლებისა და ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო

სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ

2014 წლის 9 თვის საბალანსო მონაცემებში, საბავშვო ბაღების შენობების განახლების, რეკონსტრუქციისა და პანდუსების მოწყობისათვის გახარჯული 134 795 ლარის და 2014 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით 5 044,23 ლარის დებიტორული დავალიანების არასწორად ასახვა, საბიუჯეტო სახსრების მართვასთან დაკავშირებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

✓ ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ შპს „ფელიქსთან“ 2014 წლის 28 მაისს გაფორმებული N51 ხელშეკრულების საფუძველზე (SPA 140012372) შესრულებულია საბავშვო ბაღების შენობებზე 1 137 ლარის ღირებულების პანდუსის მოწყობის სამუშაოები, ხოლო 2014 წლის 2 ივლისს შპს „ამაგთან“ გაფორმებული N62 ხელშეკრულებით (SPA 140015241) ბაღის შენობებზე შესრულებულია 133 658, 83 ლარის ღირებულების აღდგენითი და სარეკონსტრუქციო სამუშაოები. სულ 134 795 ლარის გაწეული ხარჯი გაერთიანების 2014 წლის 9 თვის ბალანსში ასახულია ოფისის ხარჯებში¹ (ანგ N7230), მაშინ როდესაც საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული “ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების

¹ წარმოდგენილი მტკიცებულებით გაწეული ხარჯები 2014 წლის ოქტომბრის თვეში გადატანილია ძირითადი აქტივების შემადგენლობაში, ხოლო შედარების აქტის საფუძველზე 5 044,23 ლარით დებიტორული დავალიანება შემცირებულია წლიურ ბალანსში.

ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის 23- ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, არსებული აქტივების არსებითი გაუმჯობესება – განახლება, რეკონსტრუქცია ან გაფართოება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის საწარმოო სიმძლავრეს, ხარისხს ან ახანგრძლივებს არსებული ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფიზიკურად ფუნქციონირებენ როგორც არსებული აქტივის ნაწილები, განიხილება როგორც ძირითადი აქტივების მიღება.

✓ 2014 წლის 9 თვის ბალანსით, გაერთიანების დებიტორული დავალანება შეადგენს 16 978 ლარს, მათ შორის წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი 6 165 ლარს და სხვა საგადასახადო აქტივები 10 813 ლარს. წარმოდგენილი ანალიზური აღრიცხვის მიხედვით ფაქტობრივი დავალიანება შეადგენს 11 933,77 ლარს (5 044 ლარით ნაკლებს), მათ შორის წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი 6 165 ლარს და სხვა საგადასახადო აქტივები 5 769 ლარს.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, აგრეთვე გაერთიანების საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

შემოსავალი

ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ 2014 წლის 9 თვეში მიღებული შემოსავლები შეადგენს 6 001 454 ლარს, მათ შორის ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება შეადგენს 5 997 609 ლარს, ხოლო დეპოზიტიდან მიღებული შემოსავალი 3 845 ლარს.

ხარჯები

ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ 2014 წლის 9 თვის დაზუსტებული ბიუჯეტით, გათვალისწინებულია 6 118 324 ლარის საკასო ხარჯის გაწევა. ფაქტობრივად გაწული საკასო ხარჯი შეადგენს 5 742 290 ლარს (გეგმის -93,85%). დაზუსტებულ ბიუჯეტთან მიმართებით ნაკლები ხარჯის გაწევა გამოწვეულია შრომის ანაზღაურების მუხლში თანამშრომელთა დეკრეტული შვებულებით მიღებული ეკონომიით და სხვა

დანარჩენ მუხლებში მე-8 და მე-13 საბავშვო ბაღებში მიმდინარე სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო ფუნქციონირების შეწყვეტით.

ცალკეული კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული საკასო ხარჯები შემდეგია:

შრომის ანაზღაურება - 3 664 738 ლარი (გეგმის 98,73%), მათ შორის თანამდებობრივი სარგო 3 475 063 ლარი, პრემია 179 675 ლარი, რაც თანამდებობრივი სარგოს 4.91-ს % შეადგენს.


- **საქონელი და მომსახურება** - 2 047 247,8 ლარი (გეგმის 86.55 %), მათ შორის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 27 426 ლარი, მივლინება - 97 ლარი, ოფისის ხარჯები - 862 616 ლარი, კვების ხარჯები - 1 110 815 ლარი, სამედიცინო ხარჯები 5 054 ლარი, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 10 174 ლარი, ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯები -13 956 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 17 110 ლარი.

- **სოციალური უზრუნველყოფა** - 40 304 ლარი (გეგმის 97.68 %). აღნიშნული მუხლით დაფინანსებულია გაერთიანების 38 თანამშრომლის შრომისუუნარობის და დეკრეტული შვებულების ხარჯები.

არაფინანსური აქტივების ცვლილება

დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 267 724 ლარის საკასო ხარჯის გაწევა. ფაქტობრივად გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 255 319 ლარს, ანუ დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით 12 405 ლარით ნაკლებს, რაც გამოწვეულია ტენდერის შედეგად პრეტენდენტების მიერ ფასების შემცირებით.

გაწეული ხარჯების საკასო შესრულება წარმოდგენილია შემდეგი პროპორციით (ლარი)



ვალდებულებები

საბალანსო მონაცემებით გაერთიანებას, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ერიცხება 48 191 ლარის ვალდებულებები, რომელიც წარმოშობილია 2013 წლის დეკემბრის თვეში გაწეული კომუნალური ხარჯების გადაუხდელობით. აღნიშნული დავალიანება დაფარულია 2014 წლის იანვრის თვეში.

2014 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით გაერთიანების ბალანსზე რიცხული ვალდებულება შეადგენს 226 297 ლარს, მათ შორის 216 236 ლარი შეადგენს 2014 წლის 9 თვეში, 25 იურიდიული პირის მიერ მიწოდებული კვების პროდუქტების ღირებულებას, 8 000 ლარი შეადგენს შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურებას, ხოლო 2 000 ლარი, გასაცემი ანაზღაურების შესაბამის საშემოსავლო გადასახდს.

ბიუჯეტის საკასო შესრულება წარმოდგენილი ცხრილის სახით (ლარი).

სტრუქტურის კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (9-8)
1	2	4	5	6	7	8
010	1. ხარჯები	9282200	6118324	5742290	5952555	210265.65
020	1.1 შრომის ანაზღაურება	5292826	3711748	3654738	3664738	10000
030	1.1.1 ხელფასები	5292826	3711748	3654738	3664738	10000
040	1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	5292826	3711748	3654738	3664738	10000
050	1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	4,707,256.0	3511748	3475063	3475063	0
070	1.1.1.1.3 პრემია	585570	200000	179675	189675	10000
150	1.2 საქონელი და მომსახურება	3929374	2365315	2047247.8	2247513.45	200265.65
160	1.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	40000	28223	27426	27426	0
170	1.2.2 მივლინებები	1000	97	97	35	-62
180	1.2.3 ოფისის ხარჯები	1503940	1138323	862616	853530	-9086
200	1.2.5 კვების ხარჯები	2189134	1146426	1110815	1307293	196478
210	1.2.6 სამედიცინო ხარჯები	6000	6000	5054	5465	411
220	1.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	105000	11011	10174	22491	12317
230	1.2.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	24300	14089	13956	14298.25	342
250	1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	60000	21146	17110	16975.2	-135
460	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	60000	41261	40304	40304	0
530	1.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	60000	41261	40304	40304	0
540	1.7.3.1 ფულადი ფორმით	60000	41261	40304	40304	0

დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მის სამართლიან წარდგენაზე პასუხისმგებლობის გარდა, რომელიც აღწერილია ზემოთ, ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს გაერთიანების საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

გარდა ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის პასუხისმგებლობისა, რომელიც აღწერილია ზემოთ, აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა გაერთიანების საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

1. 2013-2014წწ. სააღმზრდელო-სასწავლო პერიოდში საბავშვო ბაღში აღსაზრდელთა მიღება შინაგანაწესის დარღვევით და არაერთგვაროვანი მიდგომით არის განხორციელებული, რაც ორგანიზაციულ და პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

✓ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ შინაგანაწესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად² საბავშვო ბაღების გაერთიანებაში 2-6 წლის ასაკის აღსაზრდელთა მიღება უნდა განხორციელდეს წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც ფორმდება

² ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2013 წლის 30 აგვისტოს N27 ბრძანება, შინაგანაწესში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის ან დირექტორის ბრძანებით უფლებამოსილ პირსა და აღსაზრდელის მშობელს შორის. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ ფაქტობრივად ხელშეკრულებები გაფორმებულია უშუალოდ ბაღის გამგეების მიერ³, სადაც 5 ბაღის⁴ გამგის მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ არის მითითებული ხელშეკრულების მოქმედების ვადები, 17 ბაღის⁵ გამგის მიერ ხელშეკრულების მოქმედების ვადად მითითებულია ერთი წელი, 6 ბაღის⁶ გამგის მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებაში მოქმედების ვადა მითითებულია სამი სასწავლო წელი, 12 ბაღის⁷ გამგის მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებაში მოქმედების ვადა მითითებულია 2-3 და 3-4 სასწავლო წელი, ხოლო 8 ბაღის⁸ გამგის მიერ საერთოდ ვერ იქნა წარმოდგენილი 2013-2014 წწ. სააღმზრდელო პერიოდში გაფორმებული ხელშეკრულები.

✓ ქალაქ ბათუმის მერის 2013 წლის 30 აგვისტოს N584 ბრძანებით დამტკიცებულია ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ აღსაზრდელთა 185 ჯგუფი და 6 460 აღსაზრდელის ზღვრული ოდენობა, ხოლო 2014 წლის 3 ივლისის N339 ბრძანებით დამტკიცებულია 188 ჯგუფი და 6 565 აღსაზრდელის ზღვრული ოდენობა. გაერთიანების შინაგანაწესის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტით განსაზღვრულია საბავშვო ბაღის გაერთიანებაში აღსაზრდელის მიღებაზე უარის თქმის კრიტერიუმები⁹. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ 2013-2014 წწ. სააღმზრდელო-სასწავლო პერიოდის დასაწყისში მოქმედი 26 ბაღიდან, 18 ბაღში¹⁰ დამტკიცებულ ზღვრულ ოდენობასთან შედარებით ჩარიცხულია 579 აღსაზრდელით მეტი, მაშინ როდესაც 6 ბაღში¹¹ ირიცხებოდა 127 აღსაზრდელით ნაკლები. ზღვრულ ოდენობაზე მეტი აღსაზრდელის რიცხოვნობის პირობებში 15 საბავშვო¹² ბაღში დამატებით ჩარიცხულია 247 აღსაზრდელი. სხვადასხვა მიზეზებით ამორიცხული კონტიგენტის გათვალისწინებით, სააღმზრდელო პერიოდის დასასრულისათვის (2014 წლის 1 აგვისტო) 18 საბავშვო ბაღში¹³ ირიცხება 578 აღსაზრდელით მეტი, ხოლო 8 საბავშვო ბაღში¹⁴ 121 აღსაზრდელით ნაკლები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აუდიტის მიმდინარეობისას წარმოდგენილი დოკუმენტებით 21 საბავშვო ბაღის მიერ ჩარიცხვის სავარაუდო მსურველთა შესახებ ინფორმაცია ვერ იქნა წარმოდგენილი, ხოლო 5 საბავშვო ბაღში¹⁵ 92 მოქალაქეზე უარი ნათქვამია მხოლოდ სიტყვიერად, დოკუმენტური დასაბუთების გარეშე.

³ აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი ბრძანება, შინაგანაწესში ცვლილების შეტანის შემდეგ ბაღის გამგეებზე ხელშეკრულების გაფორმების უფლებამოსილების გადაცემის შესახებ.

⁴ ბაღი N2;7;12;15;20.

⁵ ბაღი N1;3;4;10;11;12;13;14;15;16;17;19;23;24;25;27;28.

⁶ ბაღი N1;10;11;18;20;24.

⁷ ბაღი N1;6;8;9;10;13;14;19;22;24;25;26.

⁸ ბაღი N2;3;16;17;18;23;24;26.

⁹ ასაკი, დოკუმენტების წარმოდგენილობა, თავისუფალი ადგილების არარსებობა.

¹⁰ ბაღი N3;4;7;9;10;11;12;13;14;15;16;17;18;19;22;25;26;27.

¹¹ ბაღი N1;8;20;23;24;28.

¹² ბაღი N3;6;7;9;10;11;12;14;15;16;17;18;19;22;26.

¹³ ბაღი N3;4;7;9;10;11;12;13;14;15;16;17;18;19;22;25;26;27.

¹⁴ ბაღი N1;2;6;8;20;23;24;28.

¹⁵ N3;9;19;24;27.

2. საბავშვო ბაღების მიერ აღსაზრდელებზე ნორმების დარღვევით კვების პროდუქტების გაცემა, აღსაზრდელთა ჯგუფებს შორის კვების პროდუქტების არასწორი გადანაწილება, მენიუს შეუსაბამოდ კვების პროდუქტების მომზადება, საბიუჯეტო რესურსის მართვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ 2012 წლის 10 აპრილის N10 ბრძანებით, საბავშვო ბაღების გამგეებსა და მედღებს დამატებით სამსახურებრივ ფუნქციად განესაზღვრათ აღსაზრდელთა კვების ყოველდღიური მენიუს შემუშავება დასაშვები დღიური ნორმების შესაბამისად განსაზღვრული ოდენობითა და კალორაჟის დაცვით. კვების პროდუქტების ხარჯვასთან დაკავშირებით წარმოდგენილია ყოველდღიური მენიუ, ბავშვთა ფაქტობრივად დასწრებისა და თვითმმართველი ქალაქის-ბათუმის საკრებულოს მიერ დამტკიცებული კვების პროდუქტების ნორმების მითითებით. აუდიტის მიმდინარეობისას, გაერთიანების დირექტორის 2015 წლის 15 იანვრის N1 ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ განხორციელებული მონიტორინგით დადგინდა რიგი დაღვევა-ნაკლოვანებები, კერძოდ:

➤ გაცემული კვების პროდუქტების ნორმებთან შესაბამისობის მონიტორინგი განხორციელდა 11 საბავშვო ბაღში, სადაც დადგინდა, რომ 5 საბავშვო ბაღში¹⁶ მენიუს მიხედვით გაცემული პროდუქტის წონა არ შეესაბამება ფაქტობრივად გაცემულ წონას, 5 საბავშვო ბაღში¹⁷ ჯგუფებს შორის პროდუქტები არასწორად იყო გადანაწილებული, 1 საბავშვო ბაღში¹⁸ მენიუმში პროდუქტები არასწორად იყო განაწილებული, 3 საბავშვო ბაღში¹⁹ აღმოჩნდა კვების პროდუქტების წონის შეუსაბამობა, ხოლო 1 საბავშვო ბაღში²⁰ კვების პროდუქტი არ იყო დამზადებული მენიუს შესაბამისად.

3. ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ განხორციელებული შესყიდვების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზები

➤ ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ ქსოვილის ნივთების შეძენის მიზნით, გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი²¹. სატენდერო წინადადებით ზუსტად იყო განსაზღვრული მისაწოდებელი საქონლის დასახელება და ზომები. შესყიდვაში მონაწილეობდა ორი პრეტენდენტი, რომელთაგან დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტს, შპს „ვორლდ სერვისს“ ეთხოვა ნიმუშის მიწოდება. სატენდერო კომისიის 2014 წლის N 31-3 ოქმის თანახმად, მიწოდებული საქონლის ნიმუშები სრულად შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ხოლო

¹⁶ ბაღი N1-ნინო ხიტირი; N11-იამზე ტაკიძე; N15-ნინო ბაბაკიშვილი; N25-ნარგიზ გამიშიძე; N26-გოგუცა ფაღავა;

¹⁷ ბაღი N6-ლიანა თავაძე; N11-იამზე ტაკიძე; N15-ნინო ბაბაკიშვილი; N25-ნარგიზ გამიშიძე; N26-გოგუცა ფაღავა;

¹⁸ ბაღი N6-ლიანა თავაძე;

¹⁹ ბაღი N15-ნინო ბაბაკიშვილი; 16; N17-როენა ბოლქვაძე.

²⁰ ბაღი N1-ნინო ხიტირი;

²¹ SPA140020500- სახელმეკრულებო ღირებულება 41 880 ლარი.

წარმოდგენილ ფასების ცხრილში მითითებული არ არის ერთეულის ფასები, რაც მოგვიანებით ატვირთულ იქნა პრეტენდენტის მიერ.

ხელშეკრულების დადების დღეს, შპს „ვორლდ სერვისმა“ წერილობით²² მიმართა ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანებას“, რომლის მიხედვითაც აღნიშნავს, რომ სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო პირსახოცი ზომით 40*60 სმ და ჩაის ტილო ზომით 40*90 სმ. მის მიერ ნიმუშების სახით წარმოდგენილი რამოდენიმე სახის პირსახოციდან და ჩაის ტილოდან, სატენდერო კომისიამ აირჩია განსხვავებული ზომის, კერძოდ, პირსახოცი 30*90 სმ და ჩაის ტილო 45*70 სმ და მიუთითებს, რომ თქვენს მიერ არჩეული ხარისხისა და დიზაინის საქონელი სასურველი ზომებით საქართველოს (ასევე თურქეთის) ბაზარზე არ არის. აქედან გამომდინარე, ითხოვა ცვლილებების შეტანა სატენდერო დოკუმენტაციაში და ხელშეკრულების გაფორმება შემდეგი რედაქციით: პირსახოცი - 30*50 სმ, ჩაის ტილო - 45*70 სმ.

სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით²³ გათვალისწინებული იქნა პრეტენდენტის თხოვნა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლის მე-9 პუნქტის დარღვევით შეტანილი იქნა ცვლილებები სატენდერო დოკუმენტაციაში, შესაბამისად ხელშეკრულებაც გაფორმებული იქნა შეცვლილი პირობებით.

➤ ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ ავეჯის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის²⁴ სატენდერო წინადადების 5.3 პუნქტის შესაბამისად, საქონლის მიწოდების ვადად მითითებულია ხელშეკრულების დადებიდან 50 კალენდარული დღე, მიწოდების ადგილი კი შემსყიდველი ორგანიზაციის 27 ობიექტი, თუმცა შემდგომ გამარჯვებულთან შპს „ELIO“-სთან დადებული ხელშეკრულებით განისაზღვრა მიწოდების ვადა 55 კალენდარული დღით, ხოლო მისაწოდებელ ობიექტთა რაოდენობა 24-ით, რითაც დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 16¹ მუხლის პირველი პუნქტი.

➤ ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში²⁵ გამარჯვებულთან (შპს „ელიტელი“) 2014 წლის 29 აპრილს დადებული ხელშეკრულების მიხედვით, მიმწოდებელს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა მიეწოდებინა 28 ცალი ტელევიზორი (პლაზმური) LG 50PB5600 და 1 ცალი ტელევიზორი (LED) SAMSUNG UA32F5500, საკიდით და ფლემმეხსიერებით. 2014 წლის 13 მაისს შპს „ელიტელის“ დირექტორმა სატენდერო კომისიას მიმართა წერილით, სადაც აღნიშნულია, რომ ვინაიდან ტელევიზორ LG 50PB5600 წარმოებასთან დაკავშირებით შეიქმნა გარკვეული პრობლემები, ითხოვდა შეცვლას უფრო მაღალი ფასის და მახასიათებლების მქონე LG 50PB560 მოდელით, ასევე აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით სთავაზობდა დამატებით მომსახურებას, მიწოდებული ტელევიზორების მონტაჟს. წერილის მიხედვით 17 ცალი ტელევიზორი LG 50PB560 და 1

²² შპს „ვორლდ სერვისი“ დირექტორის 2014 წლის 22 სექტემბრის წერილი.

²³ 2014 წლის 22 სექტემბრის ოქმი N 31-4.

²⁴ SPA140017796- სახელშეკრულებო ღირებულება 347 000 ლარი.

²⁵ SPA140009894-სახელშეკრულებო ღირებულება 30 600 ლარი.

ცალი SAMSUNG UA32F5500, საკიდით და ფლემშეხსიერებით მიეწოდებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში (14 მაისის ჩათვლით) 15 მაისამდე, ხოლო დარჩენილი 11 ცალი 30 მაისამდე. შპს „ელიტელმა“ ითხოვა გაეთვალისწინებინა აღნიშნული გარემოებები, რათა არ დაკისრებოდა საურავი შეუსრულებელი ვალდებულებების გამო.

მიწოდების ვადის გასვლიდან ერთი დღის შემდეგ, 2014 წლის 16 მაისს²⁶, გაფორმდა მხარეთა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც მოხდა მხოლოდ საქონლის მიწოდების ვადის გაგრძელება 2014 წლის 30 მაისამდე. აღსანიშნავია, რომ შეთანხმებამდე და შეთანხმების შემდეგაც, სასაქონლო ზედნადებების მიხედვით, მიწოდებულია ტელევიზორები LG 50PB560B, რითაც დარღვეულია ხელშეკრულების 2.1 პუნქტი, ასევე არ არის განხორციელებული სათანადო კონტროლი მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შესრულებაზე, რაც შიდა კონტროლის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გარდა, ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

✓ აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში, ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2014 წლის 17 დეკემბრის N50 ბრძანების საფუძველზე, შენობის ავარიული მდგომარეობის მოტივით, შეწყვეტილია გაერთიანების სტრუქტურული ერთეული - N27-ე საბავშვო ბაღის ფუნქციონირება, ამასთან წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ აღნიშნული ბაღის შენობა ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანებაზე“, უსასყიდლო უზურფრუქტით გადაცემულია ქ.ბათუმის მერიის მიერ 2013 წლის 12 ივნისს, რომლის კაპიტალური მშენებლობის ღირებულება ხელშეკრულების მიხედვით შეადგენდა²⁷ 1 032 769 ლარს.

✓ ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ შინაგანაწესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, აღსაზრდელის 1 თვეზე მეტი ხნით არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში უნდა შეწყდეს აღსაზრდელის მიღებაზე გაფორმებული ხელშეკრულება. საბავშვო ბაღების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (ბავშვთა კვების ყოველდღიური მენიუ) მიხედვით ირკვევა, რომ სულ ჩარიცხული 6 777 აღსაზრდელიდან 2013-2014წწ. სააღმზრდელო-სასწავლო პერიოდში საშუალო გამოცხადება შეადგენს 5 122 ერთეულს, ანუ ჩარიცხული კონტიგენტის 75,6 %. აუდიტის პერიოდში საბავშვო ბაღის გამგეების²⁸ მიერ სრულყოფილად ვერ იქნა წარმოდგენილი აღსაზრდელების საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის დამადასტურებელი მტკიცებულება.

²⁶ პირგასამტეხლოს სახით დარიცხვას ექვემდებარებოდა 583 ლარი.

²⁷ მიმწოდებელი შპს „მტმ“, ხელშეკრულება N210, 28/05/2012 წელი (SPA 120007218), დასრულების ვადა 08/02/2013 წელი.

²⁸ გაერთიანების წესდების მე-3 მუხლის „გ“ პუნქტი.

✓ გაერთიანების დირექტორის 2015 წლის 15 იანვრის N1 ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ, საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა ფაქტობრივ დასწრებასა და ყოველდღიურ კვების მენიუში მითითებულ აღსაზრდელთა რაოდენობის მონიტორინგით დადგინდა, რომ სულ 23 საბავშვო ბაღში მონიტორინგის განხორციელების დღისათვის ფაქტობრივად ადგილზე იმყოფებოდა 4 921 აღსაზრდელი, მენიუში კი აღსაზრდელთა რაოდენობა მითითებული იყო 4 965 ერთეული, 44 აღსაზრდელით მეტი²⁹.

✓ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N78 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის (ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში კვების ორგანიზაცია) მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის თანახმად, სკოლამდელ დაწესებულებაში უნდა არსებობდეს 1,5-3 წლამდე ასაკისათვის და 3-6 წლამდე ასაკისათვის 10 დღიანი ან 2-კვირიანი პერსპექტიული მენიუ, რომლის მიხედვით უნდა შედგეს ყოველდღიური მენიუ. აუდიტის პერიოდში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ 2013-2014წწ. სააღმზრდელო-სასწავლო პერიოდში გაერთიანებაში ჩარიცხულ 2-3 წლამდე ასაკის 97 აღსაზრდელებზე ³⁰ არ არის შედგენილი პერსპექტიული და ყოველდღიური მენიუ.

✓ აუდიტის პერიოდში ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მონიტორინგის ჯგუფის, ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის და სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ 24 საბავშვო ბაღში ჩატარებული მონიტორინგით დადგენილია, რომ ჯგუფებისათვის არასაკმარისია რძისა და ხორცის პროდუქტები, სამაცივრო სისტემაში არაერთგვაროვანი პროდუქტი არ არის განცალკევებული, სამზარეულოში არ არის გამწოვი სავენტილაციო სისტემა, სამარაგო სათავსოში არ არის საკმარისი თაროები, სამედიცინო კაბინეტში არ არის სამედიცინო ტახტი და კარადა, შესაკეთებელია საკანალიზაციო მილი, სამზარეულოში არ არის მოწყობილი ტრაპი, მცირეა ნეიტრალური ანოლიტის რაოდენობა და რძის პროდუქტები, ნედლეულის ნარჩენებისთვის არ არის მყარი გამოყენების თავსახურიანი ჭურჭელი და მწერების წინააღმდეგ დამცავი ბადე, სამზარეულოს შესასვლელთან არ არის მოწყობილი დეზობარიერი, სამაცივრო დანადგარი არ არის აღჭურვილი ტემპერატურისმზომი ხელსაწყოთი, ტუალეტი აღჭურვილი არ არის ჰიგიენური საშუალებებით (თხევადი საპონი, ერთჯერადი ხელსახოცი) და სხვა.

✓ ორგანიზაციის მიერ კვების პროდუქტების შეძენის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებში ³¹ მითითებულია, რომ საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნით 8³⁰ საათიდან არაუგვიანეს 10⁰⁰ საათისა, თუმცა სასაქონლო ზედნადებების მიხედვით რიგ შემთხვევებში მიწოდება განხორციელებულია 10⁰⁰ საათის შემდეგაც (მაგ. 01⁰⁰, 04³⁰ და სხვ).

²⁹ ბაღი N23; 28;20;22;19;18;12;17;16;14;6;3;4;2;9. საბავშვო ბაღების გამგეობის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით (მშობელთა განცხადება) აღსაზრდელები, მშობელთა განცხადებით გაყვანილი არიან საბავშვო ბაღიდან.

³⁰ ბაღი N2-4ბავშვი , N6-30;N7-2; N9-1; N10-3; N11-3;N14-2;N15-10;N18-4;N19-4;N22-6;N24-5;N26-4;N27-4;N28-15.

³¹ ხელშეკრულება N94-19/12/2013წ-132 020 ლარი; N96-19/12/2013წ-67 500ლარი; N101-24/12/2013წ-655 500 ლარი;

✓ ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ გამარტივებული ელექტრონული ტენდერების გამოცხადებისას სატენდერო დოკუმენტაციაში³² ატვირთული ხელშეკრულების პროექტი შეიცავს წინააღმდეგობრივ პუნქტებს, კერძოდ: მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%, ხოლო შემდეგ პუნქტში აღნიშნულია, რომ იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 4%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

✓ აუდიტის მიმდინარეობისას, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტიდან გარე დადასტურებით მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანებასთან“ დაკავშირებით არსებობს განცხადებები და საჩივრები. ფიზიკური პირის კარინე ციხაძის წერილთან დაკავშირებით საქმე გადაცემულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურაში, ხოლო რძის პროდუქტებთან დაკავშირებით შპს „ჯი აი სი ჯორჯიას“ საკითხი სასამართლოს განსჯის საგანია.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.


ნადიმ ბოლქვაძე
/უფროსი აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი/



ირაკლი ანანიძე
/უფროსი აუდიტორი/



გურანდა გვაზავა
/ აუდიტორი/



16/02/2015 წელი.

³² SPA140004058, SPA140004061

ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ბაზის წლის დასაწყისისათვის	ბაზის წლის დასასრულისათვის
1	2	3	4	5
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	წაღები ფული საღარიბოში ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	წაღები ფული საღარიბოში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210	67769	27757
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		
050	საგადასახადო ანგარიში ბანკში	1230		
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240		
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკანო ხარჯებისათვის	1250		
080	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
090	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
100	ხაზინის საგადასახადო ანგარიში	1280		
110	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
130	მოკლევადიანი სესხები	1320		
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
190	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემთავლებით	1354		
200	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათი ექვივალენტებზე აქტივების/მოქმედებების მიწოდებით	1355		
210	გადახდილი დღგ	1356		
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357	6165	6165
230	სხვა საგადასახადო აქტივები	1358	10813	10813
240	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით	1359		
250	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
260	მოთხოვნები ზარტებით	1410		
270	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
280	მოთხოვნები საკონსილის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431		
290	მოთხოვნები აქტივების მოღებაზე წინასწარი გადახდებით	1432		
300	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		
310	მოთხოვნები მომსახურების მიწოდების მოთხოვნებით	1450		
320	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		
330		1470		
340	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480		
350	გრძელვადიანი სესხები	1510		
360	აქციები და სხვა კაპიტალი	1520		
370	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530		
380	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540		
II. არაფინანსური აქტივები				
390	სტრატეგიული მარაგები	1610		
400	სხვა მატერიალური მარაგები	1620	88195	51483
410	შენიშნა-ნაგებობები	2110	2120154	2282087
420	მანქანა-დასაადრებები და ინვენტარი	2120	304061	382457
430	სხვა ძირითადი აქტივები	2130	2900	17890
440	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები	2140		
450	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	730	1551
460	ფასიულობები	2300		
470	არაწარმოებული აქტივები	2400	394434	394434
	ზღირვანი		2995221	3174635

კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიში ს. ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	ნაშთი წლის (კვარტალის) ათვის
1	2	3	4	5
I. ვალდებულებები				
480	სოცალური ფინანსური ვალდებულებები	3100		
490	მოქმედების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210	48191	216297
500	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		
510	ვალდებულებები ბარტრით	3230		
520	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		
530	გადასახდელი დღგ	3242		
540	გადასახდელი სამშრომლო გადასახადი	3243		2000
550	სხვა გადასახდელები	3244		
560	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები (გადასახდელის საკასო ტერმინებით)	3245		
570	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3246		
580	შტატით მომუშაუთათვის დარიცხული ხელფასები	3251		8000
590	შტატგარეშე მომუშაუთათვის დარიცხული ხელფასები	3252		
600	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		
610	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		
620	დამტრეფების მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255		
630	დამტრეფების მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		
640	ვალდებულებები მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადების დაგროვებული	3257		
650	გადასახდელი სტიპენდიები	3258		
660	სოციალური დაზღვევის ანაზღაურებები	3259		
670	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260		
680	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		
690	სხვა მოვალეობები კრედიტორული დაგროვებები	3280		
700	გრძელვადიანი ვალდებულებები სესხებით	3310		
710	სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	3320		
720	მოქმედების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დაგროვებები	3331		
730	აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დაგროვებები	3332		
740	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დაგროვებები	3333		
II. კაპიტალი				
750	წმინდა დირექტორები	5100	2947030	2948338
760	საინვესტიციო შემოსავლის მოგება/ზარალი	5210		
770	გადასახდელი მოგება	5220		
780	დაუფარავი "ზარალი"	5230		
	ბალანსი		2995221	3174635
III. საფინანსო მესხები				
790	საოპერაციო იჯარით აღებული მართიანი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარებები	01		
800	მასშტაბზე შენახული მატერიალური ფასიერებები	02		
810	გადახდის უნარი დეპონენტების ჩამონერვული დაგროვებები	03		
820	ხარჯები ჩამონერვული მარაგები ქვამლუკავიანში	04	1706641	1841666
830	პრობითი მოთხოვნები	05		
840	პრობითი ვალდებულებები	06		
850	საოპერაციო სახსრებით გაიჭაფოს მესხები	07		
860	ამორტიზებული მართიანი აქტივები	08		
870	გადახდის უნარი დაგროვებები	09		
880	ქვამლუკავიანი მესხი ხარჯები ჩამონერვული გრძელვადიანი კრედიტორული	10		
890	გადასახდელი გადასახადები მომრავლე კაპიტალი	11		

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მოთხრობის მფლობელი:

8.2

წმინდა სტიქიის მომადებით აღებული მომადებით ვალდებულებები და კაპიტალის გრძელვადიანი



ორგანიზაციის დასახელება: ორგანიზაციის ანგარიშში ხარჯების ცვლილებების კლასიფიკაციის მიხედვით
აიი საბაზო ბაღების გაერთიანება კოდი: 1147

პერიოდულობა: III კვარტალური 2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით ზღვრის ერთეული: ლარი

კოდი	სახელი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
010	1. ხარჯები			2	9282200	6118324	0	0	5742290	5952555	210265.65
020	1.1 შრომის ანაზღაურება			21	5292826	3711748	0	0	3654738	3664738	10000
030	1.1.1 ხელფასები			211	5292826	3711748	0	0	3654738	3664738	10000
040	1.1.1.1 ხელფასები მუდმივი წილის			"	5292826	3711748	0	0	3654738	3664738	10000
050	1.1.1.1.1 თანამდებობრივი ხარჯი			21111	4,707,256.0	3,511,748			3,475,063	3,475,063	0
060	1.1.1.1.2 წოდებრივი ხარჯი			21112							0
070	1.1.1.1.3 პრემია			21113	583570	200000			179675	189675	10000
080	1.1.1.1.4 დანამტი			21114							0
090	1.1.1.1.5 პირიერი			21115							0
100	1.1.1.1.6 კომპენსაცია			21116							0
110	1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით			2112							0
120	1.1.2 სოციალური შენატები			212	0	0	0	0	0	0	0
130	1.1.2.1 ფაქტურად გამოტყუებული სოციალური შენატები			"							0
140	1.1.2.2 პირიერი გამოტყუებული სოციალური შენატები			"							0
150	1.2 საკონსტრუქციო და მომსახურება			22	3929374	2363315	0	0	21047247.8	2247513.45	200265.65
160	1.2.1 შენატებზე მოხდებული ანაზღაურება			221	40000	28223			27426	27426	0
170	1.2.2 მოვლენები			222	0000	97			97	35	-62
180	1.2.3 ოფისის ხარჯები			223	1503940	1138323			862646	853530	-9086
190	1.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები			224							0
200	1.2.5 კვების ხარჯები			225	2189134	1146426			1110815	1307293	196478

210	12.6 სამედიცინო ხარჯები	226	6000	6000		5054	5465	411
220	12.7 ობოლი ინვესტირებისა და უწყვეტობის შესწავლისა და პირადი ხელფასების დიაგნოსტიკური ხარჯები	227	105000	11011		10174	22491	12317
230	12.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და ინფრასტრუქტურის, და მოვლა-მეცნიერების ხარჯები	228	24300	14089		13956	14298.25	342
240	12.9 სამედიცინო ტანსაცმელი და ღირსეულობის შეძენის ხარჯები	229						0
250	12.10 სხვა დანახარჯი საქონელი და მომსახურება	2210	60000	21146		17110	16975.2	-135
260	1.3 პირითადი კაპიტალის მოხმარება	23						0
270	1.4 პროცენტები	24	0	0	0	0	0	0
280	1.4.1 საგარეო ვალდებულებებზე	241	0	0	0	0	0	0
290	1.4.1.1 ობიექტური კრედიტორები	#						0
300	1.4.1.2 შიდა კრედიტორები	#						0
310	1.4.1.3 კომერციული ორგანიზაციები	#						0
320	1.4.1.4 სხვა საგარეო ვალდებულებები	#						0
330	1.4.2 სამართალი ვალდებულებებზე გარდა სახელმწიფო ერთეულებისა	242						0
340	1.4.3 სახელმწიფო ერთეულებიდან აღებული სამართალი ვალდებულებებზე	243						0
350	1.5 სუბსიდიები	25						0
360	1.6 გრანტები	26	0	0	0	0	0	0
370	1.6.1 გრანტები უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს	261	0	0	0	0	0	0
380	1.6.1.1 მემდინარე	#						0
390	1.6.1.2 კაპიტალური	#						0
400	1.6.2 გრანტები სპონსორის ორგანიზაციებს	262	0	0	0	0	0	0
410	1.6.2.1 მემდინარე	#						0
420	1.6.2.2 კაპიტალური	#						0
430	1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	263	0	0	0	0	0	0
440	1.6.3.1 მემდინარე	#						0
450	1.6.3.2 კაპიტალური	#						0
460	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27	60000	41261	0	40304	40304	0
470	1.7.1 სოციალური დაზღვევა	271	0	0	0	0	0	0
480	1.7.1.1 ფულადი ფორმით	#						0
490	1.7.1.2 სასაქონლო ფორმით	2712						0
500	1.7.2 სოციალური დახმარება	272	0	0	0	0	0	0
510	1.7.2.1 ფულადი ფორმით	2721						0
520	1.7.2.2 სასაქონლო ფორმით	2722						0

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება: აიპ ბათუმის ბაღების გაერთიანება
 მერიდი: 1147
 პერიოდული: III კვარტალური 2014 წლის ზომის ერთეული: ლარი

სტრუქტურული ნომრი კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	არაფინანსური აქტივების ოპერაციების კოდები	დასტავებული გამოთხ	დაზუსტებული გამოთხ	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საქმი ბარები)
1	2	3	4	5	6	7	8
010	1. არაფინანსური აქტივები	31	550000	550000	273316	255319	255319
020	1.1 ძირითადი აქტივები	311	550000	550000	273316	255319	255319
030	1.1.1 შენობა-ნაგებობები	3111	0	0	179930	161933	161933
040	1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები	31111					
050	1.1.1.2 არსაცხოვრებელი შენობები	31112			179930	161932.99	161932.99
060	1.1.1.3 საგზაო შენობები	31113					
070	1.1.1.4 ტერიტორიები	31114					
080	1.1.1.5 გზები	31115					
090	1.1.1.6 ნივთები	31116					
100	1.1.1.7 გზისპირები	31117					
110	1.1.1.8 საგზაო ნივთები და წყლის მომარაგების სისტემები	31118					
120	1.1.1.9 ელექტროენერგიის საშუალებები	31119					
130	1.1.1.10 მიწის ნაკვეთები	311110					
140	1.1.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები	311111					
150	1.1.2 ბუნება-დაზღვევები და ინვესტირება	3112	535010	535010	78396	78396	78396
160	1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	31121					
170	1.1.2.2 სხვა ბუნება-დაზღვევები და ინვესტირება	31122	535010	535010	78396	78396	78396
180	1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	3113	14990	14990	14990	14990	14990
190	1.1.3.1 კულტურული ძეგლები	31131					
200	1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	31132	14990	14990	14990	14990	14990

210	1132.1 ლაშქრები	311321							
220	1132.2 სხვა არამხარჯიანი ძირითადი საშუალებები	311322						14990	14990
230	12 მატერიალური მარაგები	312	0	0	0	0	0	0	0
240	12.1 მატერიალური მარაგები	3121							
250	12.2 სხვა მატერიალური მარაგები	3122							
260	12.2.1 შედუღებული და ნახალები	31221							
270	12.2.2 დამსხვრულები წარმოება	31222							
280	12.2.3 შიდა პროდუქტები	31223							
290	12.2.4 შემდეგ რეალიზაციისთვის შეჭერილი საქონელი	31224							
300	13 ფასეულობები	313							
310	14 არაწარმოებული აქტივები	314	0	0	0	0	0	0	0
320	14.1 მიწა	3141							
330	14.2 წყალმომარაგების საშუალებები	3142							
340	14.3 სხვა პუნქტები	3143	0	0	0	0	0	0	0
350	14.3.1 სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საკუთრების საგნები	31431							
360	14.3.2 სხვა საკუთრების საგნები	31432							
370	14.4	3144							



თბილისი, 2024 წლის 14 ივნისი
 თბილისის მერის მოადგილე
 თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსი

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

კოდი --1147

ზომის ერთეული: ლარი

ფინანსური დასახელება: ახალი ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ჩარიცხვის თარიღი: 2014 წლის იანვარ-მარტის თვეს

გარემოს	დამატება	დღეისა	ანგარიშის №	კომენტარი	დღეისა
7100	ნაშთი წლის დასაწყისისათვის			ნაშთი წლის დასაწყისისათვის	29427080
	მიმდინარეობის ანგარიშები	3664738	4100	ბიუჯეტიდან მალეველი დაფინანსება	5997609
7200	საქონელი და მომსახურება	2257982	4200	ბიუჯეტიდან მალეველი დაფინანსება და დახმარებების გახიზნა	
7300	ძირითადი კაპიტალის მოხმარება		6000	შემოსავლები	3845
7310			6300	მ.შ. ფრანგები	3845
7400	პროცენტი		6411	მ.შ. ფრანგები	3845
7500	სუბსიდიები	0			
7600	გრანტები				
7700	სოციალური უზრუნველყოფა	40304			
7800	სხვა ხარჯები	37122			
	აქტივების უსასყიდლოდ გაყვლა, ვალდებულებების უსასყიდლოდ გაყვლა	0			0
1300-1400	ფინანსური აქტივები		1300-1400	ფინანსური აქტივები	
3000	ფინანსური ვალდებულებები		3000	ფინანსური ვალდებულებები	
1600-2000	ფინანსური აქტივები		1600-2000	ფინანსური აქტივები	
8000	სხვა ფინანსური ნაკადები		8000	სხვა ფინანსური ნაკადები	0
3245	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკისო				
3246	შემოსავლები *				
	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები *				
	სადავო ბრუნვა	6000146		სადავო ბრუნვა	6001454
	სულ ჯამი: **	6000146		სულ ჯამი: **	8948484
	ნაშთი პერიოდის ბოლოს			ნაშთი პერიოდის ბოლოს	2948538

ფინანსური დასახელება: ახალი ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ჩარიცხვის თარიღი: 2014 წლის იანვარ-მარტის თვეს

ფინანსური დასახელება: ახალი ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფინანსური დასახელება: ახალი ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფინანსური დასახელება: ახალი ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფინანსური დასახელება: ახალი ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ

არგანიზაციის დასახელება ააიპ შათუმის ბაღების გაერთიანება

პერიოდულობა: მესამე კვარტალური

2014 წლის ოქტომბრის თვის

ზომის ერთეული: ლარი

სტრუქტურული კოდი	დასახელება	გეგმიტი	საქსო	ფაქტობრივი
1	2	3	4	5
010	ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისისათვის			
020	გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალის ნაშთი წლის დასაწყისისათვის		67769	
030	შემოსულობები			67769
040	საოპერაციო შემოსავლები			
050	საანგარიშო პერიოდის შემოსავლები კლასიფიკაციის მიხედვით	0	3845	0
060	გადასახდელები			
070	გრანტები			
080	სხვა შემოსავლები			
090	ა) შემოსავლები საკუთარიდან	0	3845	0
100	ბ) საკონსილია და მომსახურების რეალიზაცია		3795	
110	გ) საჩუქრები: ჯარიმები, საურსები			
120	დ) მუშაკთა ფულადი ტრანსფერები, გრანტების გარდა			
130	ე) შეძენილი და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები		50	
140	შემოსულობები			
150	არაფინანსური აქტივების კლება	0	0	0
160	ფინანსური აქტივების კლება			
170	ვალდებულებების ზრდა			
180	სულ საოპერაციო შემოსავლები და შემოსულობები	0	3845	0
190	გადასახდელები			
200	საოპერაციო ხარჯები			
210	1. ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	67769	43837	47589
220	1.1 შრომის ანაზღაურება	კოდი	67769	43837
230	1.2 საფონდო და ძირითადი	21		
240	1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	22	67769	5715
250	1.4 პროცენტი	23		
260	1.5 ალბისიდეები	24		
270	1.6 გრანტები	25		
280	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	26		
290	1.8 სხვა ხარჯები	27		
300	გადასახდელები	28	57122	57122
310	2. არაფინანსური აქტივების ზრდა		20	0
320	2.1 ძირითადი აქტივები	31	0	
330	2.2 მატერიალური საშუალებები	311		
340	2.3 ფასიერებები	312		
350	2.4 არასაძირითადი აქტივები	313		
360	3. ფინანსური აქტივების ზრდა	314		
370	3.1 სამინიკო	32	0	
380	3.2 საგარეო	321		
390	4. ვალდებულებების კლება	322		
400	4.1 სამინიკო	33	0	20
410	4.2 საგარეო	331		
420	სულ საოპერაციო ხარჯები და გადასახდელები	332	67769	43857
430	არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები			47589
440	არასაოპერაციო შემოსავლები			
450	კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი			
460	არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ მიღება			
470	ფინანსური აქტივების უსასყიდლოდ მიღება			
480	ვალდებულებების გადაცემა			
490	არასაოპერაციო ხარჯები			
500	კურსთა შორის სხვაობით მიღებული ზარალი			
510	არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ გასაცემი			
520	ფინანსური აქტივების უსასყიდლოდ გასაცემი			
530	ვალდებულებების მიღება			
540	მოგების გათვალისწინებით			
550	საშუალო წლის (გვარტლის) წმლის			27757

იქის ხელმძღვანელი:

ბი ბუღალტერი:

[illegible]

